შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი

2023 წელი

ტელე-რადიო ლაბორატორიის დებულება

მუხლი 1. ტელე-რადიო ლაბორატორიის სტატუსი

1.1. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში გთუნი) ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ტელე-რადიო ლაბორატორიის სტატუსს, სტრუქტურასა და ფუნქციებს.

1.2. ტელე-რადიო ლაბორატორია წარმოადგენს ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ერთ-ერთ სასწავლო ერთეულს, რომლითაც რეგულირდება ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე არსებული ვიდეო- აუდიო- ფოტო და სხვა სახის ტექნიკის გატანისა და მომსახურების სისტემა, ასევე ტელე და რადიოსტუდებში მუშაობის პროცედურები.

1.3. ტელე-რადიო ლაბორატორია არ წარმოადგენს იურიდიულ პირს, არ გააჩნია კანცელარია, ბლანკი და ბეჭედი.

მუხლი 2. ფოტო- აუდიო- ვიდეო ტექნიკით უზრუნველყოფა

2.1. ლექციის, პრაქტიკული მეცადინეობის, პრეზენტაციის და ა. შ. ფოტო- აუდიო- ვიდეო ტექნიკით უზრუნველყოფა ხდება წინასწარ შემუშავებული გრაფიკის მიხედვით, ხოლო სხვა განსაკუთრებულ შემთხვევაში - ფაკულტეტის დეკანის თანხმობით.

მუხლი 3. ტელე-რადიო ლაბორატორიის მუშაობის წესი

3.1. ტელე-რადიო ლაბორატორიის მუშაობა წარმოებს მხოლოდ სასწავლო პროცესით გათვალისწინებულ და შესაბამისი სასწავლო დისციპლინის ლექტორის/ნაშრომის ხელმძღვანელის დავალებათა შესრულების სპეციფიკის მიხედვით, წინასწარ დადგენილი გრაფიკით.

3.2. ტელე-რადიო ლაბორატორიაში სხვადასხვა სახის განსაკუთრებული შეხვედრების, ტრეინინგების, პრეზენტაციების, მასტერ-კლასებისა და ა. შ. მოწყობა იგეგმება და განხორციელდება ფაკულტეტის დეკანის თანხმობით.

3.3. არასასწავლო მიზნით ტექნიკის გამოყენება, ისევე, როგორც სხვა სახის მომსახურების გაწევა შეთანხმებული უნდა იყოს ფაკულტეტის დეკანთან.

მუხლი 4. ვიდეოგადაღება

4.1. ვიდეოგადაღებები წარმოებს მხოლოდ სასწავლო პროცესით გათვალისწინებულ და შესაბამისი სასწავლო დისციპლინის ლექტორის/ნაშრომის ხელმძღვანელის დავალებათა შესრულების სპეციფიკისა და ცხრილის მიხედვით.

4.2. ოპერატორის გარეშე ფაკულტეტზე არსებული ვიდეოტექნიკის გატანა დასაშვებია

ლაბორატორიის უფროსთან წერილობითი წინასწარი შეთანხმების საფუძველზე.

4.3. ვიდეოგადაღებები იგეგმება და მტკიცდება ყოველი სემესტრის დასაწყისში დისციპლინის ლექტორის/ნაშრომის ხელმძღვანელის და დეკანატის შეთანხმების საფუძველზე.

4.4. დაგეგმილ გადაღებაზე სტუდენტის/სტუდენტების 15 წუთით დაგვიანების შემთხვევაში გადაღება მოიხსნება.

4.5. სხვა განსაკუთრებულ შემთხვევაში ვიდეოგადაღება დაიგეგმება და იწარმოებს ფაკულტეტის დეკანის თანხმობით.

მუხლი 5. ვიდეომონტაჟი

5.1. ვიდეომონტაჟი წარმოებს მხოლოდ სასწავლო პროცესით გათვალისწინებულ და შესაბამისი სასწავლო დისციპლინის ლექტორის/ნაშრომის ხელმძღვანელის დავალებათა შესრულების სპეციფიკის მიხედვით.

5.2. ვიდეომონტაჟი იგეგმება და მტკიცდება ყოველი სემესტრის დასაწყისში დისციპლინის ლექტორის/ნაშრომის ხელმძღვანელის და დეკანატის შეთანხმების საფუძველზე.

5.3. დაგეგმილ ვიდეომანტაჟზე სტუდენტის/სტუდენტების 15 წუთითდაგვიანების შემთხვევაში გადაღება მოიხსნება.

5.4. სხვა განსაკუთრებულ შემთხვევაში ვიდეომონტაჟის დაიგეგმება და იწარმოებს ფაკულტეტის დეკანის თანხმობით.

მუხლი 6. აუდიომონტაჟი

6.1. აუდიომონტაჟი/რადიოსტუდიაში ხმის ჩაწერა წარმოებს მხოლოდ სასწავლო პროცესით გათვალისწინებულ და შესაბამისი სასწავლო დისციპლინის ლექტორის/ნაშრომის ხელმძღვანელის დავალებათა შესრულების სპეციფიკის მიხედვით.

6.2. აუდიომონტაჟი იგეგმება და მტკიცდება ყოველი სემესტრის დასაწყისში დისციპლინის ლექტორის/ნაშრომის ხელმძღვანელის და დეკანატის შეთანხმების საფუძველზე.

6.3. აუდიომონტაჟს სტუდენტები ასრულებენ დამოუკიდებლად ან მენტორის მეთვალყურეობის ქვეშ (ლექტორის/ნაშრომის ხელმძღვანელის ან ლაბორატორიის შტატიანი თანამშრომელი).

6.4. სხვა განსაკუთრებულ შემთხვევაში რადიოსტუდიაში ხმის ჩაწერა და აუდიომონტაჟი დაიგეგმება და იწარმოებს ფაკულტეტის დეკანის თანხმობით.

მუხლი 7. ფოტოაპარატი

7.1. ფოტოაპარატების გატანა წარმოებს მხოლოდ სასწავლო პროცესით გათვალისწინებულ და შესაბამისი სასწავლო დისციპლინის ლექტორის/ნაშრომის ხელმძღვანელის დავალებათა შესრულების სპეციფიკის მიხედვით.

7.2. სხვა განსაკუთრებულ შემთხვევაში ფოტოაპარატის გატანა შესაძლებელი იქნება ფაკულტეტის დეკანის თანხმობით.

მუხლი 8. დიქტოფონი

8.1. დიქტოფონების გატანა წარმოებს მხოლოდ სასწავლო პროცესით გათვალისწინებულ და შესაბამისი სასწავლო დისციპლინის ლექტორის/ნაშრომის ხელმძღვანელის დავალებათა შესრულების სპეციფიკის მიხედვით.

8.2. სხვა განსაკუთრებულ შემთხვევაში რადიოსტუდიაში ხმის ჩაწერა და აუდიომონტაჟი

დაიგეგმება და იწარმოებს ფაკულტეტის დეკანის თანხმობით.

მუხლი 9. ტელე - რადიო ლაბორატორიის საშტატო განრიგი და მათი ფუნქციები

9.1. ტელე - რადიო ლაბორატორიას ხელმძღვანელობს ლაბორატოორის უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი უნივერსიტეტში მოქმედი შიდა სამართლებრივი წესისა და პროცედურის შესაბამისად.

მუხლი 10. ტელე-რადიო ლაბორატორიის უფროსის ფუნქციები

10.1.ტელე-რადიო ლაბორატორიის უფროსი:

ა. ორგანიზებას უწევს და უზრუნველყოფს ფაკულტეტის მიმდინარე სასწავლო პროცესში ტექნიკური აღჭურვილობის გამოყენებას;

ბ. საუნივერსიტეტო საჭიროებებიდან გამომდინარე ხელს უწყობს ლაბორატორიის ტექნიკური საშუალებების გამოყენებას;

გ. პასუხს აგებს ტექნიკურ აღჭურვილობაზე;

დ.აკონტროლებს რადიო და ტელესტუდიებში განთავსებულ ტექნიკურ აღჭურვილობას;

ე. უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურიდან იღებს მუშაობისათვის საჭირო ინფორმაციას;

ვ. აყენებს წინადადებას ფაკულტეტის ადმინისტრაციის წინაშე ლაბორატორიის საქმიანობასთან დაკავშირებულ რიგ საკითხთა გადასაწყვეტად;

ე. აყენებს წინადადებებს ლაბორატორიის ფუნქციოპნირებასთან და შემდგომ განვითარებასთან დაკავშირებით.

თავი II. დასკვნითი დებულებები

მუხლი 11. დებულების შემუშავებისა და დამტკიცების წესი

11.1. წინამდებარე დებულებას ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი.

მუხლი 12. დებულების შეცვლის წესი

12.1. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შეიძლება იმავე წესით, როგორი წესითაც იგი მიიღება.